შპს ჰიგიენ სერვისი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება 4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება..... 6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....7
2. მომზადების საფუძვლები.....7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 8
4. შემოსავალი 9
5. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება.....9
6. თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი 9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 9
8. კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტო.....9
9. ძირითადი საშუალებები 10
10. არამატერიალური აქტივები 11
11. მარაგები 11
12. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები 11
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები..... 12
14. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები..... 13
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები..... 13
16. პირობითი ვალდებულებები 13
17. დაკავშირებული მხარეები 13
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები..... 14
19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 15

შპს ჰიგიენ სერვისი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი		3,509,736	2,439,534
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(1,016,529)	(1,290,048)
საერთო მოგება		**2,493,207**	**1,149,486**
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი		(1,878,196)	(731,051)
ცვეთა და ამორტიზაცია		(119,807)	(44,004)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(142,336)	(65,694)
საოპერაციო მოგება		**352,868**	**308,737**
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა		(903)	(3,459)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი /ხარჯი		(2,523)	23,554
წლის სრული შემოსავალი		**349,442**	**328,832**

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი ზურაბ ჯოჯუა

HYGIENE SERVICE
GEORGIA, HYGIENE SERVICE LLC
405091458

6 - 19 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ჰიგიენ სერვისი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	**2019**	**2018**
შემოსავალი		3,509,736	2,439,534
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(1,016,529)	(1,290,048)
საერთო მოგება		**2,493,207**	**1,149,486**
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი		(1,878,196)	(731,051)
ცვეთა და ამორტიზაცია		(119,807)	(44,004)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(142,336)	(65,694)
საოპერაციო მოგება		**352,868**	**308,737**
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა		(903)	(3,459)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი /ხარჯი		(2,523)	23,554
წლის სრული შემოსავალი		**349,442**	**328,832**

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი ზურაბ ჯოჯუა _____

6 - 19 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		480,898	228,641
არამატერიალური აქტივები		5,181	6,278
სულ გრძელვადიანი აქტივები		**486,079**	**234,919**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		95,825	47,389
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		350,645	170,253
გადახდილი ავანსები		1,888	25,397
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები		227,360	114,603
		675,718	**357,642**
სულ აქტივები		**1,161,797**	**592,561**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
დაგროვილი მოგება		723,520	486,319
		723,520	**486,319**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		135,478	32,054
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		236,892	9,795
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ		65,907	64,393
		438,277	**106,242**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**1,161,797**	**592,561**

6 - 19 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	დაგროვილი ზარალი	**სულ**
2017 წლის 31 დეკემბერი	**329,623**	**329,623**
დივიდენდები	(172,136)	**(172,136)**
წლის სრული შემოსავალი	328,832	**328,832**
2018 წლის 31 დეკემბერი	**486,319**	**486,319**
დივიდენდები	(112,241)	(112,241)
წლის სრული შემოსავალი	349,442	**349,442**
2019 წლის 31 დეკემბერი	**723,520**	**723,520**

შპს ჰიგიენ სერვისი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჰიგიენ სერვისი (შემდგომში - კომპანია) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დასუფტავების სერვისის მიწოდება.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგია:

- 01008008872, ზურაბ ჯოჯუა

კომპანია რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ბაგების დასახლება, კორპუსი 3, ბინა 9

კომპანიის დირექტორი: 01008008872, ზურაბ ჯოჯუა

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ეს არის კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის და მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლა“ შესაბამისად. კომპანიის მსს ფასზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 1 იანვარი.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული საღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტაც.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არის არის აღნიშნული.

შეფასების საფუძვლები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია ზოგადად არ მოელის, რომ მსს ფასს სტანდარტების 35.11 პუნქტის ფარგლებში განსახორციელებული რომელიმე შესწორება არაპრაქტიკული იქნება კომპანიისთვის.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. როგორც 17-ე შენიშვნაშია განხილული ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კორონა ვირუსის - COVID 19 -ის გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობა მოელის გარკვეული სახის უარყოფით გავლენას საკუთარ საქმიანობაზე, მაგრამ ეს არ შეუქმნის რისკს კომპანიის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. შემოსავალი

შემოსავალი მიწოდების ბაზრების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	3,367,064	1,388,830
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	109,925	1,050,704
სხვა შემოსავალი	32,747	
	3,509,736	**2,439,534**

5. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება მიწოდების ბაზრების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(1,016,529)	(1,290,048)
	(1,016,529)	**(1,290,048)**

6. თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ხელფასი	(1,872,361)	(729,171)
სარგებელი	(5,835)	(1,880)
	(1,878,196)	**(731,051)**

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ხარჯი	(73,091)	(27,854)
ავტომობილის ხარჯი	(15,538)	(15,298)
საიჯარო ქირა და კომუნალური ხარჯი	(14,808)	(7,963)
კომუნიკაციის ხარჯი	(5,057)	(2,298)
საგადასახადო ხარჯი	(3,433)	-
ბანკის საკომისიო	(1,991)	(1,078)
დაზღვევის ხარჯი	(1,822)	(3,140)
საკონსულტაციო ხარჯი	(632)	(196)
მივლინების ხარჯი	(148)	(2,720)
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	(25,816)	(5,147)
	(142,336)	**(65,694)**

8. კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტო

კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტო წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
რეალიზებული საკურსო სხვაობა	(903)	(3,459)
სულ კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტო	**(903)**	**(3,459)**

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალება	ავეჯი ოფისისთვის	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	**242,534**	**4,740**	**38,446**	**19,670**	**305,390**
შემოსვლა	22,117	2,931	5,000	3,125	**33,174**
გასვლა	-	-	-	-	**-**
2018 წლის 31 დეკემბერი	**294,652**	**7,671**	**43,446**	**22,795**	**338,564**
შემოსვლა	301,995	1,291	32,650	49,438	**385,334**
გასვლა	(3,559)	-	(5,000)	(16,764)	**(25,323)**
2019 წლის 31 დეკემბერი	**563,049**	**8,962**	**71,095**	**55,469**	**698,575**
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	**(53,523)**	**(954)**	**(8,352)**	**3,778)**	**(66,606)**
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	**-**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(34,021)	(733)	(3,910)	(4,652)	**(43,316)**
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	**(87,544)**	**(1,686)**	**(12,262)**	**(8,430)**	**(109,922)**
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	**-**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(84,650)	(1,714)	(11,442)	(20,141)	**(117,948)**
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	**(171,777)**	**(3,401)**	**(18,110)**	**(24,390)**	**(217,678)**
საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბერი	**177,108**	**5,985**	**31,183**	**14,365**	**228,641**
2019 წლის 31 დეკემბერი	**391,272**	**5,561**	**52,985**	**31,079**	**480,898**

10. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ავეჯი ოფისისთვის	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	**7,134**	**7,134**
შემოსვლა	1,940	**1,940**
გასვლა	-	**-**
2018 წლის 31 დეკემბერი	**9,074**	**9,074**
შემოსვლა	763	**763**
გასვლა	-	**-**
2019 წლის 31 დეკემბერი	**9,837**	**9,837**
დაგროვილი ცვეთა		
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	**(2,108)**	**(2,108)**
გასული არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია	-	**-**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(688)	**(688)**
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	**(2,796)**	**(2,796)**
გასული არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია	-	**-**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(1,859)	**(1,859)**
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	**(4,655)**	**(4,655)**
საბალანსო ღირებულება		
2018 წლის 31 დეკემბერი	**6,278**	**6,278**
2019 წლის 31 დეკემბერი	**5,181**	**5,181**

11. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	**31 დეკემბერი 2018**
საქონელი	95,825	47,389
	95,825	**47,389**

12. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 135,478 ლარი (ვალდებულება) 2019 წლის მდგომარეობით და 32,054 ლარი (ვალდებულება) 2018 წლის მდგომარეობით.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	350,645	170,253
	350,645	**170,253**

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
მიმდინარე	315,443	0%	
ვადაგადაცილება 0-30	11,079	0%	-
ვადაგადაცილება 31-90	9,137	0%	-
ვადაგადაცილება 91-180	13,358	0%	-
ვადაგადაცილება 181-360	1,626	0%	-
ვადაგადაცილება 361>	-	100%	-
მოთხოვნები გაუფასურებამდე	**350,645**		**-**
გაუფასურების რეზერვი	-		
წმინდა მოთხოვნები	**350,645**		

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
მიმდინარე	143,598	0%	
ვადაგადაცილება 0-30	16,509	0%	-
ვადაგადაცილება 31-90	5,863	0%	-
ვადაგადაცილება 91-180	1,663	0%	-
ვადაგადაცილება 181-360	2,618	0%	-
ვადაგადაცილება 361>	-	100%	-
მოთხოვნები გაუფასურებამდე	**170,253**		**-**
გაუფასურების რეზერვი	-		
წმინდა მოთხოვნები	**170,253**		

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის არ ყოფილა. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება არ განსხვავდება მათ რეალურ ღირებულებისგან, დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

14. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული სალაროში	895	1,489
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	226,202	82,852
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	263	30,262
	227,360	**114,603**

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	(236,871)	(9,333)
სხვა ვალდებულებები	(21)	(462)
	(236,892)	**(9,795)**

16. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

17. დაკავშირებული მხარეები

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

კომპანიას 2019 და 2018 წლებში არა აქვს დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. ზოგადად ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. თუმცა, რადგან კომპანია წარმოადგენს მომსახურების სფეროში მოღვაწე იურიდიულ პირს, გარკვეულ შეზღუდვებს მის საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია. ანგარიშგების თარიღისთვის, კომპანიაზე ვირუსის შესაძლო ეფექტის განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის არსებით უარყოფით ეფექტს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

18.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

ამის საფუძველზე, კორონავირუსის ეფექტი, მსს ფასს-ების შესაბამისად, არის 'არა-მაკორექტირებელი მოვლენა' და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება ამ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	**ევრო**
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6766	3.0701

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის პრინციპებს განსაზღვრავს ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება". მასში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი", „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით", „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით".

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების" კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა მიმდინარე ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი

მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარ

ებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

შემოსავალი

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. ამონაგები შემცირდება ფასდათმობისა და მსგავსი გამოქვითვების შეფასებული ოდენობით.

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები აღიარდება სამუშაოების შესაბამისი ეტაპის დასრულებისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა;
- შესაძლებელია მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებს და დანახარჯებს აღიარებს როგორც ამონაგები და **19.**

ხარჯი, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (საანგარიშო პერიოდად ამ შემთხვევაში განიხილება თვე).

სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შესაფასებლად, ხდება სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხებ ის ამოღების შეფასება. ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, პერიოდულად გადაიხედება და, თუ აუცილებელია, იცვლება ამონაგებისა და დანახარჯების შეფასებები, მომსახურების გაწევის ოპერაციების შესრულების მიმდინარე მდგომარეობის გათვალისწინებით.

კომაპნიის მიერ გამოიყენება პროპორციულობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებუ ლ თანხასთან მიმართებით. მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები არ მოიცავს მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, როგორიცაა, დანახარჯები მასალებზე ან წინასწარ გადახდილი თანხები (ავანსები);

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შემენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ღირებულებას, ასევე აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს და ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან მოხსნის ღირებულებას. ძირითადი საშუალებისთვის შეძენილი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მისი ფუნქციონალურობისათვის აუცილებელია, კაპიტალიზდება როგორც შესაბამისი ძირითადი საშუალების ნაწილი.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის

იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება „კომპანიის“ მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ძირითადი საშუალებების მნიშნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალება	3-8 წელი
ავეჯი ოფისისთვის	1-6 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2 -6 წელი
მანქანა დანადგარები	2 -6 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და კორექტირდება საჭიროების შემთხვევაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“, „ფსწე“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის ან „ფსწე"-ს ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. აღიარებული გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში გამოყოფილია აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად თანაბარი პროპორციის საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური

სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.